საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ია გაბედავა – კოლეგიის თავმჯდომარე

არჩილ ჩოფიკაშვილი– კოლეგიის წევრი

ბესარიონ ბოხაშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: გ. ქ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 24.01.2019

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 006/19

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ა. ჭ.-ის მიმართ /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ა. ჭ.-ისთვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ეთიკის კომისიას 2019 წლის 24 იანვარს საჩივრით მომართა გ. ქ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ა. ჭ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება და საადვოკატო მომსახურების ჰონორარის დაბრუნება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2018 წლის აგვისტოს თვეში, სარჩელის დაწერით მიზნით მივიდა ოფისში, სადაც მუშაობდა ადვოკატი ა. ჭ. ადვოკატთან გასაუბრების შემდეგ მხარეები შეთანხმდნენ, რომ ა. ჭ. გ. ქ.-ს სარჩელს მოუმზადებდა, მომსახურების საფასურად კი განისაზღვრა 300 ლარი. გ. ქ.-ს განმარტებით, მან ადვოკატს თავდაპირველად 100 ლარი გადაუხადა, დანარჩენი თანხა კი შეთანხმების მიხედვით მოგვიანებით უნდა გადაეხადა.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ა. ჭ.-ის მიერ დაწერილი სარჩელი სასამართლომ წარმოებაში არ მიიღო, რადგან არასწორად იყო შედგენილი. მე-2 დღეს, ადვოკატი ა. ჭ. მივიდა გ. ქ.-სთან

სახლში და დაწერა ხელწერილი, რომ ის თავიდან მოამზადებდა სარჩელს, რისთვისაც მან დამატებით მიიღო 100 ლარი.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, მას ა. ჭ. არ უნახავს მას შემდეგ, რაც მასთან სახლში იყო მისული. ა. ჭ. არ პასუხობს სატელეფონო ზარებს, ოფისში მისულმა გ. ქ.-მ კი შეიტყო, რომ ა. ჭ. იქ აღარ მუშაობს.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა არ შეასრულა პირობა, არ მოამზადა სარჩელი, ამიტომ იგი მოითხოვს, რომ ადვოკატ ა. ჭ.-ს დაევალოს მის მიერ მომსახურების გასაწევად გადახდილი თანხის ნაწილის, 100 ლარის დაბრუნება.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატი ა. ჭ. ეთიკის კომისიაში 2019 წლის 06 თებერვალს წარმოდგენილი ახსნა-განმარტებით ადასტურებს, რომ გ. ქ. მასთან ოფისში მივიდა ადვოკატის დასაქირავებლად, რადგან სასწრაფოდ სჭირდებოდა სარჩელის დაწერა. ადვოკატის განმარტებით, იგი ერთ საათზე მეტი ხნის განმავლობაში გ. ქ.-სთან საუბრისას არკვევდა, მისი რომელი უფლება იყო დარღვეული და რა უნდა ყოფილიყო სავარაუდო დავის საგანი.

2.2 ადვოკატის ა. ჭ.-ის განმარტებით, გ. ქ.-სგან შესაბამისი ინფორმაციის მიღება ძალიან გაუჭირდა, ვინაიდან იგი ძალიან დაბნეულად მიუთითებდა სხვადასხვა გარემოებებზე, რომელთაგან ბევრს შეხება არ ჰქონდა მის მიერ დასახელებულ დავის საგანთან, კერძოდ, საცხოვრებელი ბინის ნაწილიდან მის გამოსახლებასთან დაკავშირებით. ადვოკატის განმარტებით იგი დარწმუნდა, რომ საკითხის არსში გ. ქ. სათანადოდ ვერ ერკვეოდა. ადვოკატის განმარტებით, გ. ქ.-საგან მიღებული ინფორმაცია, ძირითადად სისხლის სამართლებრივად დასჯად ქმედებას შეეხებოდა, რის შესახებაც მას გარკვევით განუმარტა, თუმცა გ. ქ.-ს ძირითადი მოთხოვნა მაინც სამოქალაქო სამართლებრივი ინტერესის სფეროს განეკუთვნებოდა.

2.3 ა. ჭ.-ის განმარტებით, მას გ. ქ.-მ უთხრა, რომ იგი დედამისმა (ლ. ქ.-მა, რომელიც გარდაცვლილია) და დამ (მ. ქ.-მ) მძიმე მდგომარეობაში ჩააყენეს. გ. ქ.-ს განმარტებით, მისგან მ. ქ. ითხოვდა საცხოვრებელი ბინის ნაწილის იპოთეკით დატვირთვას. აღნიშნულ მოთხოვნაზე გ. ქ., როგორც საცხოვრებელი ბინის მესაკუთრე, უარს აცხადებდა. მ. ქ.ს ინტერესი იყო ის, რომ გ. ქ.-ს კუთვნილი საცხოვრებელ ბინის ნაწილის იპოთეკით დატვირთვის შემთხვევაში აიღებდა სესხს, რომლითაც დაგროვილ ვალებს გაისტუმრებდა. მ. ქ.ს აღნიშნულ მოთხოვნაზე უარის თქმის გამო, საჩივრის ავტორს დედა და და დაუპირისპირდნენ და ცემეს კიდეც იგი. გარდა ამისა, როგორც გ. ქ.-მ განმარტა, დედა და და, ხშირად აშანტაჟებდნენ მას ფსიქიატრიულ კლინიკაში იძულებითი მოთავსებით. მიუხედავად აღნიშნულისა, გ. ქ. უარს აცხადებდა თავისი ბინის იპოთეკით დატვირთვაზე და ერთხელ თანხის გამსესხებელი უარითაც კი გაისტუმრა. აღნიშნულის გამო, დედამ და დამ, გ. ქ. ძალით წაიყვანეს ფსიქიატრიულ კლინიკაში, რის გამოც ეს უკანასკნელი იძულებული გამხდარა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებაზე ხელი მოეწერა. გ. ქ. მიუყვანიათ ნოტარიუსთან, საიდანაც გაქცეულა, თუმცა მეორე თუ მესამე დღეს სტრესში მყოფს წინააღმდეგობა ვეღარ გაუწევია და სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებაზე ხელი მოუწერია.

2.4 ადვოკატის განმარტებით, მას გ. ქ.-მ მოუთხრო იმის შესახებაც, რომ ქ.თბილისში, ე.წ „მშრალი ხიდი“-ს მიმდებარე ტერიტორიაზე ავტობუსში მყოფ ლ. ქ.-ს წიხლი ჰკრა და ავტობუსიდან გადააგდო მ. ქ.-მ, რის შედეგადაც ლ. ქ. გარდაიცვალა. გ. ქ. თავის დას-მ. ქ.-ს ფსიქიურად დაავადებულად თვლის. გ. ქ.-მ იმის დასადასტურებლად, რომ მ. ქ. ხშირად სცემდა მას,

ადვოკატს წარმოუდგინა ამონაწერი კლინიკური საავადმყოფოდან, რომელი ამონაწერის მიხედვითაც სავარაუდოდ დასტურდება ის ფაქტი, რომ მ. ქ. ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდა გ. ქ.-ს. ადვოკატის განმარტებით, ზემოაღნიშნული გარემოებების გამო, მან გ. ქ.-ს აუხსნა, რომ განცხადებით მიემართა სამართალდამცავი ორგანოებისათვის, რაზეც კატეგორიული უარი განაცხადა.

2.5 ადვოკატი სამოქალაქო სარჩელის შედგენასთან დაკავშირებით განმარტავს, რომ გ. ქ.-მ მას მოთხოვა სარჩელის შედგენა სასწრაფოდ, იქვე ოფისში, რაც ახსნა იმით, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებით აღმასრულებელს იგი მეორე დღეს უნდა გაესახლებინა თავისი კუთვნილი საცხოვრებელი ბინის ნაწილიდან. აღნიშნულ მოთხოვნაზე ადვოკატმა გ. ქ.-ს კატეგორიული უარი განუცხადა იმის გამო, რომ სარჩელის პროექტის მომზადებას ჭირდებოდა გარკვეული დრო, ასევე სათანადო მტკიცებულებების (დანართის) სასამართლოში წარდგენა, რაც მას საკმარისი ოდენობით თან არ გააჩნდა, კერძოდ, არ იყო სასამართლოს გადაწყვეტილება, აღმასრულებლის წერილი გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით (რომელიც არც მას მისვლია) და ა.შ. ადვოკატმა მას განუმარტა, რომ უნდა დალოდებოდა აღმასრულებლის წერილს და მხოლოდ ამ წერილის საფუძველზე უნდა მომხდარიყო სარჩელის პროექტის მომზადება. ადვოკატმა გ. ქ.-ს განუმარტა ისიც, რომ ვერ ხედავდა აღსრულების შეჩერების პერსპექტივას, რის გამოც სარჩელის მომზადებას აზრი არ ჰქონდა. ადვოკატი განმარტავს, რომ აღნიშნულმა ძალიან დათრგუნა გ. ქ., რადგან მას ადვოკატის დიდი იმედი ჰქონდა მისი კვალიფიკაციიდან გამომდინარე და განაცხადა, რომ სხვა ადვოკატთან წამსვლელი არ იყო. ადვოკატმა მას სთხოვა, რომ სხვისთვის მიემართა, თუმცა გ. ქ. თავისას არ იშლიდა. ადვოკატი გ. ქ.-ს რთული მდგომარეობის გათვალისწინებით შეეცადა რაიმე გამოსავალი ეპოვნა, გ. ქ. გააფრთხილა, რომ მხოლოდ დაჟინებული თხოვნის გამო შეეცდებოდა მის დახმარებას, თუმცა სხვა დავის საგანი უნდა მოეფიქრებინათ, რაზეც გ. ქ. კატეგორიულად წინააღმდეგი იყო.

2.6 ადვოკატის განმარტებით, გ. ქ.-სგან მოიპოვა გარკვეული სახის საბუთები და შეუდგა სარჩელის პროექტის მომზადებას. მან ძალიან მოკლე დროში, დაახლოებით ორი ღამის განმავლობაში მოამზადა სარჩელის პროექტი, რომელიც დასახვეწი და იურიდიულად გასამართი იყო. გ. ქ. მას ორი დღის განმავლობაში არაერთხელ შეეხმიანა და დაჟინებით თხოვდა სარჩელის მასთან გადაგზავნას. ადვოკატის განმარტებით მან საჩივრის ავტორს შეატყობინა, რომ პროექტი ნახევრად მზად ჰქონდა და იურიდიულად გასამართი იყო (მაგ: დავის საგანში წილთა გათანაბრებაზე არ იყო მითითება, ასევე იყო სხვა დარღვევებიც...). ადვოკატმა გ. ქ.-ს მისივე თხოვნით, ელექტრონულად გადაუგზავნა სარჩელის პროექტი, სატელეფონო საუბრისას კი უთხრა, რომ შეეძლო იმ ადვოკატთან ერთად გადაემოწმებინა სარჩელის გამართულობა, რომელსაც სასამართლოში მისი ინტერესები უნდა დაეცვა. ფაქტობრივად, მისივე თხოვნით ადვოკატმა გ. ქ.-ს გაუგზავნა სარჩელის პროექტი, რომელიც სასურველი ნამდვილად არ იყო. ადვოკატმა მოგვიანებით შეიტყო, რომ გ. ქ.-მ მაშინვე შეიტანა სარჩელი სასამართლოში (არც ბაჟი გადაუხდია), რაც დაუშვებელი იყო.

2.7 მხარეთა შორის არსებული შეთანხმების ფარგლებთან დაკავშირებით ადვოკატი განმარტავს, რომ მისი საადვოკატო მომსახურება შემოფარგლული იყო მხოლოდ სარჩელის პროექტის მომზადებით და არ ითვალისწინებდა საქმეზე სრული საადვოკატო მომსახურების გაწევას.

2.8 ადვოკატი განმარტავს, რომ მან გ. ქ.-ს ანაზღაურების სახით მოთხოვა 300 ლარის გადახდა, თუმცა დათანხმდა და შეთანხმდნენ 200 ლარის გადახდაზე, გ. ქ.-ს ეკონომიური მდგომარეობიდან გამომდინარე. ადვოკატი მიუთითებს, რომ მას აქვს ხელწერილი, რომლის

მიხედვითაც გ. ქ.-მ მას გადაუხადა 100 ლარი და კიდევ უნდა გადაეხადა 100 ლარი ერთი კვირის განმავლობაში.

2.9 ადვოკატი განმარტავს, რომ არასწორია გ. ქ.-ს მითითება, თითქოს მან დამატებით გადაუხადა 100 ლარი და დაავალა სარჩელის გადაკეთება. მას 200 ლარი ისედაც უნდა გადაეხადა. დამატებითი 100 ლარი ადვოკატს მისთვის არ გამოურთმევია. გარდა ამისა, ადვოკატი მიუთითებს რომ სატელეფონო საუბრებისას მხარეები ვერ შეთანხმდნენ ბევრ არსებით საკითხებზე, გ. ქ. ხშირად არაადეკვატურად იქცეოდა, რის გამოც მასთან ურთიერთობის გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა.

2.10 ადვოკატი განმარტავს, რომ ადვოკატის შრომასთან დაკავშირებით კლიენტის ხედვა უნდა გამომდინარეობდეს ადვოკატთან დადებული შეთანხმებიდან. ამასთან, არანაკლებ მნიშვნელოვანია ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობა, რომელიც ერთმანეთის უპატივცემულობაზე არ უნდა იყოს დამყარებული. ადვოკატის განმარტებით, როდესაც კლიენტი ადვოკატს საკმარის დროს არ მისცემს დოკუმენტის სათანადოდ მოსამზადებლად და ამის შესახებ ადვოკატისგან იგი წინასწარ არის გაფრთხილებული, რისკი კლიენტზე გადადის და არა ადვოკატზე.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ა. ჭ.-ისაქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედიწევრი /სიითი №, სპეციალიზაცია – საერთო სამართალი.

3.2 გ. ქ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2019 წლის 24 იანვარს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2018-2019 წლებში. შესაბამისად, არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2).

4. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ა. ჭ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების“ 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზიები გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა ა. ჭ.-მ კვალიფიციურად არ შეასრულა გ. ქ.-სთან არსებული შეთანხმების ფარგლებში ნაკისრი ვალდებულება, კერძოდ, შეთანხმების საფუძველზე მას ევალებოდა სამოქალო-სამართლებრივ დავაზე მოემზადებინა სარჩელი სასამართლოში წარსადგენად, მის მიერ მომზადებული სარჩელი სასამართლომ წარმოებაში არ მიიღო. ადვოკატმა მიიღო ანაზღაურება თავდაპირველად 100 ლარი და შემდეგ დამატებით კიდევ 100 ლარი, რათა სარჩელი გადაეკეთებინა, თუმცა აღნიშნული რეალურად არ განუხორციელებია. საჩივრის ავტორი მოითხოვს, რომ ადვოკატმა მას დაუბრუნოს მისთვის მომსახურების გასაწევად გადახდილი თანხის ნაწილი, 100 ლარი.

5.2 ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატ ა. ჭ.-ის მიერ შემდეგი ნორმის შესაძლო დარღვევის თაობაზე:

5.2.1 აპეკ-ის 8.5: ,,ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა განახორციელოს წარმომადგენლობა.“

5.2.2 აპეკ-ის 8.15: ,,კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან ან სხვა ორგანოსაგან ან პირისაგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში . კლიენტისათვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი“.

5.3 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატი ვალდებულია საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებისა და მინიჭებული რწმუნების საფუძველზე იმოქმედოს კლიენტის ინტერესების დასაცავად და უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოქმედებების კეთილსინდისიერად შესრულება.

5.4 ეთიკის კომისიის 2010 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, საქმეზე №066/10 დაადგინა, რომ „საადვოკატო საქმიანობა, ადვოკატის მოვალეობები და კლიენტის ინტერესების დაცვა არ მოიცავს მხოლოდ კლიენტის ფორმალურ წარმომადგენლობას სასამართლოში, კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე ადვოკატი ვალდებულია გამოიყენოს მის დასაცავად ყველა საშუალება, რაც არ არის აკრძალული კანონით და პროფესიული ეთიკის ნორმებით.“

5.5 საადვოკატო მომსახურების საფასურს წარმოადგენს თანხა, რომელზეც ადვოკატი და კლიენტი წინასწარ თანხმდებიან გასაწევი იურიდიული მომსახურების სანაცვლოდ. შესაძლებელია ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დასრულდეს ერთ-ერთი მხარის ნების საფუძველზე, ადვოკატის მიერ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებამდე. კლიენტის მიერ გარკვეული მოცულობის სამუშაოს გასაწევად გადახდილი შეთანხმებული ჰონორარი, არ მიიჩნევა ადვოკატის მიერ სამართლიანად გამომუშავებულად, თუკი ადვოკატმა ვერ განახორციელა საადვოკატო მომსახურება იმ მოცულობითა და ფარგლებში, როგორც ამას კლიენტთან შეთანხმება ითვალისწინებდა. იმ შემთხვევაში როდესაც ადვოკატს კლიენტისგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური სრულად, ხოლო მან ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს უფლება აქვს მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი და ვალდებულია დარჩენილი თანხა დაუბრუნოს კლიენტს. აღნიშნული ეთიკური ვალდებულების დაცვა ემსახურება კლიენტის საუკეთესო ინტერესებს და ადვოკატის პროფესიულ სახეს, რომელიც თავისი ქმედებებით პატივისცემას უნდა აღძრავდეს კლიენტში და განამტკიცებდეს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობას.

5.6 კოლეგიის შეფასებით,მხარეთა ახსნა-განმარტებით ირკვევა, რომ ადვოკატს არ ჰქონდა სათანადო დრო იმისათვის, რომ სარჩელი გამართულად შეედგინა, ასევე სარჩელისათვის სრულყოფილი ფორმის მისაცემად არ ჰქონდა საჭირო დოკუმენტები. საჩივრის ავტორი თვითონვე მიუთითებს, რომ მას სარჩელის შედგენა სასწრაფოდ ჭირდებოდა, რაც უფრო სარწმუნოს ხდის იმ ფაქტს, რომ სარჩელის შედგენისათვის ადვოკატს შეუსაბამოდ მცირე დრო

ჰქონდა. ამის შესახებ ადვოკატმა გ. ქ.-ს აცნობა , სარჩელზე მუშაობის დაწყებამდე და განუმარტა, რომ ამ დროში ვერ შეძლებდა სარჩელისათვის სათანადო სახე მიეცა. ადვოკატმა სარჩელი გ. ქ.-ს ელექტრონულად გადაუგზავნა, თუმცა ეს არ იყო მისი დასრულებული ვერსია, ადვოკატის მიზანი იყო, რომ კლიენტი გაცნობოდა სარჩელს. გ. ქ. ინფორმირებული იყო, რომ სარჩელში გარკვეული საკითხები უნდა დაზუსტებულიყო და ადვოკატისაგან რჩევის სახით მიიღო, რომ სარჩელის სასამართლოში წარდგენამდე უმჯობესი იქნებოდა მისი გამართულობა გადაემოწმებინა იმ ადვოკატთან ერთად, რომელსაც მისი ინტერესი უნდა დაეცვა სასამართლოში, აქედან ირკვევა, რომ ადვოკატის მიერ კლიენტისათვის გაგზავნილი სარჩელი არ იყო სრულყოფილი, თუმცა ადვოკატი არ იყო წინააღმდეგი მისთვის სათანადო სახე მიეცა თუ ამისათვის გონივრული დრო ექნებოდა. გ. ქ.-მ არ გაითვალისწინა ადვოკატ ა. ჭ.-ის მითითებები და სარჩელი პირდაპირ სასამართლოში შეიტანა, შესაბამისად, ბუნებრივია, სასამართლო მას წარმოებაში არ მიიღებდა, თუმცა გ. ქ. მოსალოდნელ შედეგებზე წინასწარ იყო ინფორმირებული და შემდგომი რისკები მასზე იყო გადასული.

5.7 ეთიკის კომისიამ განიხილა ორივე მხარის მიერ წარმოდგენილი პოზიცია, მათი ურთიერთშეჯერების საფუძველზე კი მიიჩნია, რომ ადვოკატმა ა. ჭ.-მ საადვოკატო მომსახურების პირობები შეასრულა იმ მოცულობითა და ფარგლებში, როგორც ამას კლიენტთან შეთანხმება ითვალისწინებდა.

5.8 საჩივრის ავტორსა და ადვოკატს შორის შეთანხმება საადვოკატო მომსახურების შესახებ არსებობდა ზეპირი ფორმით. ადვოკატი ა. ჭ. აღნიშნავს, გ. ქ.-ს თხოვნით, კლიენტის ეკონომიური მდგომარეობის გათვალისწინებით, იგი დაეთანხმა, რომ ანაზღაურების ოდენობა განსაზღვრულიყო 200 ლარით. მოცემულ შემთხვევაში, შეთანხმების შესაბამისად, ადვოკატს ანაზღაურება უნდა მიეღო კონკრეტული სამუშაოს შესრულებისათვის, კერძოდ, მას სამოქალაქო-სამართლებრივ დავასთან დაკავშირებით უნდა შეედგინა სარჩელი სასამართლოში წარსადგენად. არცერთი მხარე სადავოდ არ ხდის იმ გარემოებას, რომ ადვოკატმა სარჩელი მოამზადა და შემდeგ ეს სარჩელი სასამართლოშიც იყო წარდგენილი კლიენტის - გ. ქ.-ს მიერ. მხარეთა პოზიციები განსხვავებულია გაწეული მომსახურების კვალიფიციურობასთან დაკავშირებით. როგორც გ. ქ. აღნიშნავს, ადვოკატ ა. ჭ.-ის მიერ შედგენილი სარჩელი სასამართლომ გარკვეული ხარვეზების გამო წარმოებაში არ მიიღო, ამის შემდეგ დამატებით გადაუხადა ადვოკატს 100 ლარი, რათა საბოლოოდ სარჩელი სათანადო ფორმით მომზადებულიყო და სასამართლოს წარმოებაში მიეღო. აღნიშნულს ადვოკატი ა. ჭ. უარყოფს ეთიკის კომისიისათვის წარმოდგენილ ახსნა-განმარტებაში და განმარტავს, რომ გ. ქ.-მ შეთანხმებით გათვალისწინებული ანაზღაურების ოდენობიდან, 200 ლარიდან, მხოლოდ 100 ლარი გადაუხადა, ამასთან მიუთითებს, რომ თავდაპირველი შეთანხმების შემდეგ მხარეთა შორის სხვა შეთანხმება არ შემდგარა, მათ შორის არც იმის თაობაზე, რომ ადვოკატი თავიდან შეადგენდა სარჩელს შესაბამისი წესით. იმ ფაქტის მტკიცების ტვირთი, რომ ადვოკატს საადვოკატო მომსახურების ჰონორარი გადასცა 200 ლარის ოდენობით, არის საჩივრის ავტორზე. მას ეთიკის კომისიისათვის არ წარმოუდგენია რაიმე სახის მტკიცებულება, გარდა განმარტებისა, რომ ადვოკატს აღნიშნული თანხა გადასცა. მხარეთა განმარტებებიდან კოლეგია ადგენს, რომ ადვოკატმა მიიღო 100 ლარი, რომელიც მან გ. ქ.-სათვის გაწეული მომსახურებით გამოიმუშავა.

5.9 ადვოკატ ა. ჭ.-ს თანხის უკან დაბრუნების ვალდებულება იმ შემთხვევაში წარმოეშობოდა, თუ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე დადასტურდებოდა, რომ გ. ქ.-მ აღნიშნული

თანხა მას დამატებით გადაუხადა სარჩელის დაზუსტების და სათანადო ფორმის მიცემის მიზნით. ა. ჭ.-მ იურიდიული მომსახურების საფასურად განსაზღვრული 200 ლარიდან მხოლოდ 100 ლარი მიიღო კლიენტისაგან, შესაბამისად ეთიკის კომისია ამ თანხას გაწეული მომსახურების ფარგლებში ადვოკატის მიერ სამართლიანად გამომუშავებულად მიიჩნევს და ასკვნის, რომ ადვოკატ ა. ჭ.-ს თანხის უკან დაბრუნების ეთიკური ვალდებულება არ წარმოეშობა.

5.10 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ'' საქართველოს კანონის 32–ე და 33–ე მუხლებით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების 40–ე მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №006/19 ადვოკატ ა. ჭ.-ის მიმართ /სიითი №/ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ია გაბედავა/

კოლეგიის წევრი: /არჩილ ჩოფიკაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/